ცნობის ფურცელი

№ 1828 — ოთხშაბათი, 5 ივნისი — 1896—1902 — ყოველ-დღიური გამოცემა — № 1828

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვაზქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

ყოველ დღიური გაზეთი
„ცნობის-ფურცელი“
სურათებიანი დამატებით

1-ლ ივნისიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარეთ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს 4 მან.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

ბესარიონ დავითის ძე, მარიამ მიხეილის ასული ღოღობერიძეები და კნეინა მართა ათანასეს ასული მელიქოვისა დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოდ და სისწრაფით გარდაცვალებას, რომელიც მოხდა სოფელ სადახლოში 2 ივნისს, პირველნი საყვარელი შვილის და უკანასკნელი შვილიშვილის

მ ი შ ა ს ა ს.

(1—234 1)

ბორჯომში
ექიმი ვ. ღამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის 8½—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღეს გარდა.

ბინა: გოფმეისტრის ქუჩაზე, საეკკლესიო ქუჩის ასახვევთან, გინცენბერგის სახლი.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

პ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვების 9—10 საათამდე. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

გ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ა. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუქოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საა თ.

ვ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ხტ. ალ. ვოინო—ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ-თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სვგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.-
ტელეფონი № 274. (წლ.)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე მიიღებს აგრეთვე საქმეს: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუ. ლაევის სახლი.

სასწავლებელი და პანსიონი
ა. მამულაიშვილისა

ამზადებს ბავშვებს საშუალო სასწავლებლებისათვის (გიმნაზია, რეალური და კომერციული სასწავლებლები, კადეტთა კორპუსი და სხ.(

აქვე ამზადებენ მოწაფეებს, რომელთაც დანიშნული აქვთ ხელ-მეორედ გამოცდა, (переэкзаменовка). ვერა, სლეპცოვის ქუჩა. № 13. ზემმელის აფთიაქის მახლობლად. (10—330—2)

მთავრობის განცხადება.

„პრავიტელსტვ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია მთავრობის შემდეგი განცხადება:

„15 მაისს, ვილნოს სამხედრო—საოლქო სასამართლომ განიხილა საქმე გირშ დავითის ძის ლეკუხისა (იგივე ლეკერტი და ლეკერი), რომელსაც დაბრალდა ვილნოს გუბერნატორის, გენერალ-ლეიტენანტის ფონ ვალის მოკვლის განზრახვა. სამხედრო სასამართლომ ლეკუხი დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა მას ყველა უფლებათა ჩამორთმევა და სიკვდილით დასჯა ჩამოხრჩობით.

დამნაშავემ სასამართლოს განაჩენი კასაციურის წესით განასაჩივრა უმთავრეს სამხედრო სასამართლოში, რომელმაც საქმე 11 მაისს განიხილა და ლეკუხის საჩივარი უყურადღებოდ დასტოვა.

28 მაისს აღსრულებაში მოიყვანეს სამხედრო სასამართლოს განაჩენი და გირშ ლეკუხი ვილნოში ჩამოახრჩვეს სამხედრო კანონთა კრებულის მე-963 და 964 მუხლეში აღნიშნულ წესების მიხედვით.

სტუდენტების დამხმარებელი საზოგადოება

ჩვენ არ გვინდა მივაქციოთ ყურადღება ამ „საზოგადოებას“, როგორც საქველ მოქმედო დაწესებულებას. „საზოგადოება“ დაეხმარება შეუძლებელ სტუდენტებს, საშუალებას მისცემს მათ, მიიღონ უმაღლესი განათლება; მეტი განათლებული კაცი გვეყოლება, ეს ყველასათვის სასიამოვნოა, და თუ სხვაფრივ, უკეთ, ვერ მოგვიწყვია საქმე, ამ „საზოგადოების“ დაარსებაც კარგია.

მაგრამ უფრო საინტერესოა ახლად დაარსებულის „საზოგადების“ სხვა მხარეები. ჩვენ დავესწარით ერთს საზოგადო კრებას და სწორედ უნებურად მიიქცია ჩვენი ყურადღება იმ წყურვილმა საზოგადოებრივობისამ, თუ შეიძლება აგრე ვსთქვათ, რომელიც ემჩნევოდათ დამსწრე წევრებს.

ჩვენში საზოგადო ცხოვრება თითქმის სრულებით არ არის, ამას თავის, ღრმა, მიზეზი აქვს. კულტურა კი ცოტად თუ ბევრად ნელ-ნელა ვრცელდება ჩვენში, ამას თან მოყვება სურვილი საზოგადოებრივ მოღვაწეობისა და რა-კი სხვა ასპარეზი არ არის ამისთვის, არსდება თითო ოროლა საქველ მოქმედო საზოგადოება, და აი აქ ვიკლავთ ჩვენს თან-და-თან გაძლიერებულს წყურვილს. სურვილი მოქმედებისა და მოღვაწეობისა არის, ეს ყოვლად უეჭვოა; საჭიროა, რომ ამ სურვილს, რაც შეიძლება, ვრცელი ასპარეზი მიეცეს, თორემ ხშირად ისე ხდება, რომ რომელისამე საზოგადოების დაარსების დროს წევრები დიდის ხალისით და ინტერესით ეკიდებიან საქმეს, მაგრამ შემდეგში ხედავენ, რომ მათი სამოქმედო ასპარეზი ძლიერ ვიწროა, ძლიერ ცოტა რამ შეუძლიანთ გააკეთონ, შეზღუდულნი არიან, და იმედი ეკარგებათ, ხალისი უკვდებათ და თან-და თან ეჩვევიან უმოქმედობას, უნიციატორობას...

„სტუდენტების დამხმარებელი საზოგადოება“ იქნება მეზობელ ერების დამაახლოვებელი და შემაერთებელი ადგილი. როგორც ვიცით, ხელ-ახალი არჩევნები უნდა მოხდეს „საზოგადოების“ გამგეობისა. არსებობს ერთი წრე, რომელსაც აზრად აქვს, რომ ყველა ერის წარმომადგენელნი თანასწორი უფლებით იქმნეს წარმოდგენილი გამგეობაში, გამგეობა უნდა იქნეს ყველასი და საერთო სურვილის გამომხატველი, ყველას ერთნაირად უნდა ემსახუროს, ერთს არ უნდა მისცეს მეტი პატივი და მეორეს ნაკლები.

ეს წრე ცდილობს, რომ არავითარი ეროვნული განხეთქილება არ იქმნას შეტანილი „საზოგადოებასა“ და მის გამგეობაში.

ჩვენ სრულის სიხარულით ვეგებებით ასეთს ცდას. ამ „საზოგადოების“ დაარსება და მოქმედება ჯერ კიდევ არ სწყვეტს ჩვენ და სომხების ან სხვა ერების ურთიერთობის საკითხს, მხოლოდ ასეთი „საზოგადოება“ დაგვაახლოვებს ერთმანეთს, გაგვაცნობს, ერთმანეთისადმი პატივისცემას მოგვიპოვებს და შეჰქმნის ნიადაგს მომავალის ერთობისათვის.

სწორედ, რამდენადაც უკეთ დავიცავთ და პატივს ვსცემთ ერთმანეთის უფლებებს, იმდენად უფრო ადვილი იქნება ჩვენი შეერთება, იმდენად უკეთ მოეწყობა ჩვენი საქმეები. ამის წინააღმდეგს მხოლოდ მტერი გვირჩევს ქართველებს და სომხებს.

გალამი.

საზღვარ-გარედ

პრუსია. დასავლეთ პრუსიაში, დანციგიდან 40 ვერსტის მანძილზე არის პატარა ქალაქი მარიენბურგი (პოლონურად მალბურგი). ერთ დროს ეს ქალაქი იყო რეზიდენცია ტევტონების ორდენის გროსმეისტერისა, იმ ტევტონების ორდენისა, რომელიც ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდა გერმანულ სარწმუნოებასა და ენას სლავებ შორის. რაინდების ეს ორდენი საშინელი მტერი იყო ყველა სლავებისა და განსაკუთრებით პოლონელებისა. ამიტომაც მოხდა, რომ წამოღონიერებულმა პოლონეთის სამეფომ შეიკრიბა მთელი თავისი ძალღონე და ძირს დასცა საშიში მტერი.

ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ რაინდების ციხისა და ეკკლესიის ნანგრევებმა; ვილჰელმ მეორის ბრძანებით ციხეცა და ეკკლესიაც განაახლეს და 23 მაისს დიდის ამბით აკურთხეს იგი. კურთხევას მოჰყვა ბანკეტი, რომელზედაც იმპერატორმა „პატრიოტული“ სიტყვა წარმოსთქვა. გერმანიის იმპერატორის აზრით, ეხლა დიდი შიში მოელის გერმანულ ინტერესებს პოლონურ პროვინციებში პოლონურ ელემენტების გაძლიერების გამო. „პოლონურ სიამაყისა და გაბედულობის“ წინააღმდეგ მოუწოდა ვილჰელმმა ყველა გერმანელებს—შეერთებულის ძალით გაუმკლავდით გერმანელების მტერს პოლონელებსაო.

იმპერატორის სიტყვამ ყველგან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და დიდი მიქმამოთქმაც გამოიწვია მთელ ევროპაში. ვილჰელმის სიტყვა დაგვირგვინება იყო იმ კანონ-პროექტისა, რომლის ძალით 250 მილიონი მარკა უნდა მიემატოს გერმანელების საკოლონიზაციო ფონდს.

როგორც არა ერთხელ გვქონდა ნათქვამი, პოლონელების წინააღმდეგ პოლიტიკას პირველად ბისმარკი დაადგა 1886 წელს. ამ ხნიდან იწყება სასტიკი სისტემატიური ბრძოლა პოლონელების ერის წინააღმდეგ და, როგორც ბიულოვის კანონ-პროექტიდან და ვილჰელმის სიტყვიდან სჩანს, ბრძოლიდან გამარჯვებული ჯერ პოლონელები გამოდიან; ვერც ახალი მილიონები შესძლებენ თავგანწირულ მამულისშვილების დამარცხებას: უსამართლო დევნა აძლიერებს ადგილობრივ უკმაყოფილებას და სეპარატისმს, აერთებს ყველა ჩაგრულებს, რომ ეროვნული არსებობა დაიცვან. როცა პირველად შეჰქმნა პრუსიის მთავრობამ საკოლონიზაციო ფონდი, პოლონელებმაც დაიარსეს საკუთარი ბანკები და ამხანაგობანი ადგილ-მამულების საყიდლად და შესარჩენად. ეხლაც, გადაიდო თუ არა 250 მილიონი მარკა გერმანულ ფონდისათვის, პოლონელებიც დატრიალდნენ და, როგორც „პარი ნუველ“-ი იტყობინება, პოლონელების უმთავრეს მოღვაწეებმაც გადასწყვიტეს შექმნან ას მილიონიანი ფონდი პოლონელებისათვის და რამდენსამე დღეში უკვე 26 მილიონი მარკა შეჰკრიბეს. გაჭირვებამ და განსაცდელმა ჭკუა და ხერხი ასწავლა პოლონელს, მან ბრძოლა და ბრძოლის საშუალების გამონახვაც იცის.

ინგლისი და ბურები. რუსულ პრესისათვის იშვიათის მიუდგომელობით სწერს ინგლის-ბურების საქმეებზე გაზ. „რუსსკია ვედომოსტი“-ს კორესპონდენტი. სხვათა შორის, იგი ჩამოსთვლის, თუ რა დაუჯდა ინგლისს სამხრეთ-აფრიკის ომიანობა და ბოლოს დასძენს: „სხვა რა შეიძლება კიდევ ვსთქვათ? პირველად ის, რაც არა ერთხელ მითქვამს ომის კორესპონდენციების წერის დროს. სუსტ ქვეყნების დაპყრობა ძლიერებისაგან ეხლა ერთობ ხშირად ხდება, მაგრამ მხოლოდ **მარტო** ინგლისი ამტკიცებს კავშირს, როცა ქვეყანა დაპყრობილია, არა უდიერ ძალმომრეობით, არა ჯარის კაცის შტიკებით, პოლიციით, სატუსაღოებით, დამარცხებულის განადგურებით და მის თავისუფლების მოსპობით, არამედ ვრცელ თვითმმართველობით, თავისუფლებით და ახალ მოქალაქეების კეთილდღეობით. ინგლისის პოლიტიკა ახლად შეძენილ ქვეყნებში დაუბრუნებს მას იმ პრესტიჟს, რომელიც მან დაჰკარგა განათლებულ კაცობრიობის თვალში ამ უსამართლო ომიანობის მიზეზით“. იმავე კორესპონდენტის სიტყვით, ინგლისის პარლამენტის ეხლანდელ განწყობილებას საუკეთესოდ ხატავს კემპბელ ბანერმანის სიტყვა, რომელშიაც, სხვათა შორის, იყო ნათქვამი: „ჩვენ ყველანი დიდ პატივისცემას ვგრძნობთ მათდამი, რომელნიც გუშინ ჩვენი მტრები იყვნენ (მთელი პალატა ტაშს უკრავს). ეხლა ეს მტრები ჩვენი მეგობრები და თანამოქალაქენი არიან. მათმა მამაცობამ, დიდმა მსხვერპლმა, რომელიც შესწირეს თავისუფლებასა და სამშობლო ქვეყნის დაცვას, დაუმსახურეს მათ მთელის ქვეყნის პატივისცემა. ჩვენ დარწმუნებული ვართ ეხლა, რომ ზავის ჩამოგდება ნიშნავს ახალ ხანის დაწყებას სამხრეთ-აფრიკისათვის, ეს ხანა იქნება თავისუფლების, ბედნიერების და კეთილდღეობის ხანა“. ოპოზიციის ლიდერის ნათქვამს რამდენიმე სიტყვა მიუმატა ლოიდ ჯორჯმა: „ჩვენ დავამტკიცეთ ჩვენის

იარაღის უპირატესობა (?); დაგვრჩენია დავამტკიცოთ ჩვენის ცივილიზაციის უპირატესობა. ამ მხრივ ჩვენ ძრიელ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. ორმოცდა ათის წლის შემდეგ სამხრეთ-აფრიკის მადნები დაცალიერდება. სამხრეთ-აფრიკის მომავალი დამყარებული არაა ალმასისა და ოქროს მადნებზე, არამედ ყველა მიწად მომქმედთა კლასის კეთილდღეობაზე“.

პოლონელებისა და სხვა პატარა ერების ბედი არ მოელისთ ბურებს ასეთ დამპყრობელის ხელში.

ავსტრია. ჯერ კიდევ ვერ ბედავენ ავსტრიელი გავლენიანი პოლონელები აშკარად გაილაშქრონ გერმანიის მთავრობის პოლონურ პოლიტიკის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ იმედი აქვთ, რომ გადაკვრით ნათქვამი საყვედურიც საკმარისია.

სამხედრო ბიუჯეტის განხილვის დროს პოლონელ დეპუტატების მეთაურმა იავორსკიმ სთქვა, რომ პოლონელები მომხრე არიან ხსენებულ ბიუჯეტის სავსებით მიღებისა, რადგან მათი სურვილია ძლიერი და ყველასაგან პატივცემული იყოს. „ის მძიმე გამოცდილება, რომლითაც მდიდრდებოდა (რუსეთში) და მდიდრდება (პრუსიაში) პოლონელი, გვასწავლის ჩვენ, თუ როგორ მაღლა უნდა დავაფასოთ ის მდგომარეობა, რომელშიაც ყოველი ერი სარგებლობს მეფის კეთილ განწყობილებითა და ზრუნვით, სადაც არც დევნაა, არც ხალხის უწმინდეს გრძნობის შელახვა და ყველა სარგებლობს კულტურულ სახელმწიფოს სიკეთით. როცასაჭირო იქნება შევირჩინოთ ჩვენთვისა და სხვა ერებისათვის ეს დაუფასებელი სიკეთე, ჩვენ არ დავიხევით უკან არავითარ მსხვერპლის წინაშე“.

იავორსკიმ ამ სიტყვებით ის უთხრა პრუსიის მთავრობას, რომ ავსტრიის ყოველი ერი მზად არის იბრძოლოს სახელმწიფოსათვის, რადგან ეს სახელმწიფო უზრუნველ ჰყოფს ეროვნულ არსებობას. გერმანიის პოლიტიკა კი სწორედ ამ ეროვნების წინააღმდეგ არის მიმართული და ამიტომაც იგი სახლში იჩენს საშინელს მტერს, რომლისთვისაც პრუსიის დახმარება სასურველ მოვლენას წარმოადგენს.

ჩეხურ პრესის აზრით, იავორსკი პირდაპირ გამოსთქვამდა თავის აზრს, რომ სცოდნოდა ვილჰელმის უკანასკნელი სიტყვა, მარიენბურგში წარმოთქმული. მაგრამ დრო ხომ წინ არის. გერმანიის იმპერატორის სიტყვა უნაყოფოდ არ ჩაივლის პოლონელ პოლიტიკურ მოღვაწეებისათვის.

✡ პოლონური გაზეთი „კზასი“ აფრთხილებს პოლონელებს და ურჩევს მონაწილეობას ნუ მიიღებენ ჰუნგრეთის წინააღმდეგ მიმართულ აგიტაციაში. სანამ გერმანელები იყვნენ ავსტრიის სრული ბატონები, ამათ და გერმანელებ შორის ჩუმი თანხმობა იყო. ეხლა კი, როცა ავსტრიელი გერმანელები ჰკარგავენ თავიანთ პოლიტიკურ ნიადაგს, სლავები ის ბუნებრივი მოკავშირენი არიან, რომლებთანაც ადრე თუ გვიან უნდა მორიგდნენ ჰუნგრელები. ის მომენტი, რომელსაც ჰუნგრელი პოლიტიკური მოღვაწეებიც ხედავენ წინდაწინვე, არ უნდა დავაგვიანოთ ჰუნგრეთისადმი მტრულ განწყობილებითო. ეგევე აზრი გამოსთქვა თურმე კრამარჟმაც ერთ ერთ თავის სიტყვაში.

ახალი ამბავი

✦ დ. საჩხერიდან გვატყობინებენ, რომ ჩვენი მხცოვანი მგოსანი თავ. **აკაკი წერეთელი** მძიმედ ავად გამხდარა.

✦ დღეს, 5 ივნისს, საღამოს 8 საათზედ, სასტატისტიკო საზოგადოების სახლში დანიშნულია საზოგადო კრება **შეუძლებელ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების** წევრებისა საზოგადოების გამგეობის წევრთა, მათის კანდიდატებისა და სარევიზიო კომისიის წევრთა ამოსარჩევად.

✦ გუშინ, დილის 8 საათზე, ვანქის ტაძრის გალავანში გენერალ-ლეიტენანტის არზას არტემის ძის **ტერ-ღუკასოვის საფლავზე** ჯარებისა და მრავალ საზოგადოების დასწრებით, გადახდილ იქმნა პანაშვიდი, დრამდაგთან და დაიართან 25 წლის წინად მომხდარ ბრძოლის მოსაგონებლად.

✦ კვირას, 9 ივნის, დილის 11 საათზე, სათავად-აზნ. თეატრის ფოიეში გაიმართება კერძო კრება ტფილისის **სახალხო ქართულ თეატრის მოღვაწეთა**. წაკითხულ იქნება გასულ სეზონის ანგარიში და შემდეგ დამსწრეთ უნდა დაასახელონ კანდიდატები, რომელნიც მათ ჰსურთ სექციის წევრებად.

✦ **სახალხო წარმოდგენების ქართული სექცია** დიდ მადლობას უძღვნის ქართულ დრამატიულ დასის არტისტებს, რომელთაც ნაძალადევის სამკითხველოსა და სახალხო თეატრს შესწირეს 420 მანათი—წმინდა შემოსავალი 30 აპრილს გამართულ წარმოდგენიდან.

✦ ბორჩალოს მაზრის სოფელ სადახლოდან შემდეგ **სამწუხარო ამბავს** გვატყობინებენ: კვირას, 2 ივნისს, ნაშუადღევის 5 საათზედ, სანადიროთ წასულა ბაქოს ოლქის სასამართლოს წევრის დავით ლოლობერიძის შვილი, გიმნაზიის მე V კლასის მოსწავლე, მიხეილ ლოლობერიძე. თოფი ორ ლულიანი ჰქონია და ორივე გატენილი ყოფილა ტყვიით. როდესაც მიხეილს ერთის სროლით ჰაერში ფრინველი მოუკლავს და ძირს ჩამოუგდია, წასულა მის ასაღებად. გზაში თოფის ლულას ხის ტოტი წამოსდებია, თოფი დაცლილა და ბავშვს პირდაპირ მუცელში მოხვედრია ტყვია და საწყალი მიხეილი იქვე გარდაცვლილა.

✦ კვირას, 2 ივნისს, დედათა პირველ გიმნაზიის სადგომში გამართული იყო **სასულიერო კონცერტი** რუსულს ენაზედ ორს განყოფილებად, რომლის დროსაც ბ-ნ იაიჩკოვის ლოტბარობით რუსულ მგალობელთა გუნდმა შეასრულა რამდენიმე ხმები ძველ საეკლესიო სლავიანურ საგალობლებისა. კონცერტის დაწყებამდე ბ-ნ მონადირაშვილმა წაიკითხა ისტორიული მიმოხილვა ქართულ საეკლესიო გალობის განვითარებისა. კონცერტს დაესწრო კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსი ბ-ნი ზავადსკი, დედათა 1-ლ გიმნაზიის დირექტორი და მრავალი ხალხი. კონცერტს დაესწრო აგრეთვე გორის ეპისკოპოსი ბენიამინი.

✦ ქვემო იმერეთიდან გვატყობინებენ, რომ დიდი ხნის უავდრობისა გამო იქ **გვალვა** დამდგარა და ნათესი ყანები ცუდ მდგომარეობაში არიანო.

✦ ხუთშაბათს, 6 ივნისს, ტფილისის ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია ტფილისის სასწავლებელთა გამგე კომისიის სხდომა.

✦ სადგურ სუმბათოვოდან იტყობინებიან, რომ პირველ ივნისს დილით მატარებელი № 64 წამოეწია გზის გადასავალზე, რომელიც ხარიხით არ იყო დაკეტილი, ეკიპაჟს, რომელშიაც ისხდენ საოქციზო სამმართველოს იურისკონსულტის ბ. ლავროვის ბავშვები. საბედნიეროდ, უბედურება არა მომხდარა რა, მხოლოდ ეკიპაჟი დაზიანდა და ბავშვები და მეეტლე ოდნავ დაშავდნენ.

✦ სამ თიბათვეს, ღამით, 283 ვერსზე რკინის გზისა, ტფილისს ახლო, ლიანდაგის დასწვრივ გვერდობზე იპოვეს ვიღაც უცნობი დედაკაცის გვამი.

✦ სახელმწიფო ხაზინის დეპარტამენტმა დაავალა ტფილისის სახაზინო პალატას, რომ ყოველ წლობით ხაზინისაგან გადადებული 3600 მან. ტფილისის საფიზიკო **ობსერვატორიის** გამგეს განკარგულებაში „ბიულეტენების“ გამოსაცემად შემცირებულ იქნეს ამა მიმდინარე წლიდან 400 მანათით; ასე რომ საფიზიკო ობსერვატორია ამ წლიდან აღნიშნულ მიზნისათვის მიიღებს მხოლოდ 3200 მანეთს.

✦ ტფილისის ერთ-ერთ სტამბაში იბეჭდება და მალე გამოვა უცხო სიტყვების ქართული ლექსიკონი, გამოცემა ი. იმედაშვილისა. ლექსიკონში, როგორც გადმოგვცეს, 20,000-მდე უცხო სიტყვა იქნება ახსნილ-განმარტებული.

✦ შტაბს-როტმისტრმა ბორის ესაძემ ამ დღეებში „ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ შესწირა მის მიერ ამას წინად შეძენილი ქართველთა უკანასკნელ მეფის გიორგი XIII შვილის **მემკვიდრე დავითის სურათი** ხელოვნურად ფერადებით დახატული. ბ-ნი ესაძე სურვილს აცხადებს, ფოტოგრაფიულად გადაღებულ იქმნეს ეს სურათი ხალხში გასავრცელებლად.

✦ ნატახტარის წყაროების გამომკვლევართა კომისიამ დაავალა ქალაქის ლაბორატორიის გამგეს ბ. ალიბეგოვს, წარმოადგინოს თავის მოსაზრებანი ამ წყაროების შესახებ ბ. ალიბეგოვის აზრით, ამ წყაროების წყალი თავის თვისებით ძალიანა ჰგავს მტკვრისა და არაგვის წყლებს და ამ გარემოებით ხსნის, რომ ნატახტარის წყაროების წყალი მტკვრისა და არაგვის **გამონაჟღენთი წყლებია.** ამ გარემოებას ისიც ერთვის, რომ ნატახტარის ზოგი წყარო სულ შრება ხოლმე.

✦ გუშინ ქალაქის საქონლის ბაკების გამგემ ქალაქის თავის მოადგილეს წარუდგინა მოხსენება, რომელშიაც ის ამბობს, რომ ამ უკანასკნელს თვეებში საკლავი საქონლის მორეკამ იმდენად იმატა, რომ ფუთი ხორცი **სამი მანეთი** და 30 კაპ. ჯდებაო, და ამის გამო გამგე სთხოვს ქალაქის გამგეობას, რომ ნიხრს დაუკლონ 2 კაპ.

მაისის განმავლობაში მოურეკიათ 28,939 სული საქონელი—სხვილ-ფეხი და წვრილფეხი; გაუყიდნიათ 18,796 სული, ქალაქს დარჩენია 2,305 მან. 15 კაპ.

✦ **ორთაჭალის** მებაღემ ისაკ ბაბეუკ-მელიქოვმა გუშინ ქალაქის გამგეობას სთხოვა ყურადღება მიექცეს აღნიშნულ ადგილის 30-მდე მებაღეთა მდგომარეობას; ისინი იმავე ხარჯების გადამხდელნი არიან, როგორც ქალაქის სხვა განაპირა ადგილების მცხოვრებნი, მაგრამ მოკლებულნი არიან სინათლესა და ქუჩების რიგიანად მოკირწყვლასა და სისუფთავეს. ბაბეუკ-მელიქოვი ვრცელს თხოვნაში ბევრს მაგალითებს ასახელებს, რომ ეს კუთხე ყოვლად უვარგის მდგომარეობაშია.

✦ სასამართლოს დაწესებულებებში, ტფილისის სახაზინო პალატაში, საგუბერნიო სამმართველოში და სხვაგან 4 ივნისიდან სექტემბრამდე მუშაობა დაიწყება დილის 8 საათიდან და დასრულდება ნაშუადღევის 2 სათზე.

✦ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ ამ დღეებში სთხოვა ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს განკარგულება მოახდინოს, რომ გორის მაზრაში სასტატისტიკო ცნობების შეკრება-შესწავლის დროს ადგილობრივ **ადმინისტრაციისაგან შემწეობა** აღმოეჩინოს სამეურნეო საზოგადოების სასტატისტიკო კომიტეტის სტატისტიკოსს ბ. გოგიჩაიშვილს.

✦ შინაგან საქმეთა მინისტრმა წინადადება მისცა კავკასიის გუბერნატორებს, შეიმუშავონ ინსტრუქციის პროექტი **ციებ-ცხელებით** ავადმყოფობის გამოკვლევისა და აგრეთვე ზომები, რომ ეს სენი დროზე მოისპოს და არ გავრცელდეს ხალხში.

✦ ბელგიის უსახელო საზოგადოებამ „ვაშინგტონმა“ წინადადება მისცა ქალაქ ტფილისის თვითმმართველობას, რომ იგი ქალაქს **გაანათებს თავის ფარნებით,** რომლებიც ყველაფრით სჯობია ყველა აქამდის გამოგონებულ ფარნებს და იაფადაც ჯდება.

✦ სავალდებულო დადგენილებით ძროხის ხორცი ისე უნდა დაიყოს ხარისხებად, რომ მყიდველები შეცდომაში არ შევიდნენ ხოლმე ყიდვის დროს. **პირველი ხარისხისა:** 1, ბარკალი უარტალოდ და უძვლოდ; 2) თაფლა სუკი, თეძოს უკანა ნაწილი უხერხემლოდ; 3) საკატლეტე ნაწილი (როსტბიფი) უხერხემლოდ, და 4) ენა.

მეორე ხარისხისა: 1) პურტი; 2) მკერდი; 3) ჩალადაჯი (ხერხემლის პირველი ძვლის გარდა); 4) საფარავი.

მესამე ხარისხისა: 1) ბეჭი; 2) არტალა; 3) კისერი და სხვა დანარჩენი. სუკი გაიყიდება ცალკე დაწესებულის ნიხრით. ყველა საყასბოს სამი განყოფილება უნდა ჰქონდეს და ყველა განყოფილებაში ცალ-ცალკე ხარისხის ხორცი უნდა იყოს, რომელსაც ეწერება ხორცის ხარისხი და ფასი. ხარისხებად დაყოფილის ხორცის ერთმანეთში არევა სასტიკად არის აღკრძალული. წონის დროს უთუოდ ამავე ხარისხის ხორცი უნდა დააწონონ და არა დაბალი ხარისხისა. კამეჩის ხორცი ცალკე დუქნებში გაიყიდება, ამ დუქნებში სხვა ყოველგვარი ხორცის გაყიდვა აღკრძალულია. ცხვრისა და კამეჩის ხორცი განსაკუთრებულის ნიხრით გაიყიდება. ღორის ხორციც სამ ხარისხად გაიყოფება და თავის ნიხრი დაენიშნება. ეს დადგენილება ძალაში შევიდა ამ წლის პირველ თებერვლიდან.

✦ კოსაკოვსკის ქალის მკვლელობაში ბრალდებულს იბრაჰიმ-რაჰიმ-ოღლის მიუმართავს თხოვნით ნაფიც ვექილ **ი. მ. ტუღრუვიჩისათვის,** რომ მან დაიცვას მისი საკასაციო საჩივარი.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობაში 4 ივნისიდან 1-ლ სექტემბრამდე მაცადინეობა დაიწყება დილის 8 საათიდან და გაგრძელდება ნაშუადღევის 2 საათამდე.

✦ სოფ. შაშიანის სამრევლო სკოლის მასწავლებელი სეხნიაშვილი გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი: „უღრმესს მადლობას ვუცხადებ ბ. ბ. ალექ. პაატაშვილს, ტ. რცხილაძეს, მღვ. ილ. შიუკოვს და მღ. ითრ. ჩეკურიშვილს, რომელთაც კეთილ უნებებიათ და არ დაუშურებიათ თავიანთი წვლილი და შემოუწირნიათ ჩემდამო რწმუნებულს სოფ. შაშიანის სკოლისათვის, ყველა ის ნივთები, რაც უფრო საჭიროებათ უცვნიათ სკოლისათვის. შემოწირულება ა. პაატაშვილისა: 20 ცალი დედა-ენა, 20 ცალიც ქართული პატარა წიგნაკი, ღირებული სულ მთელი შემოწირულება 11 მან. და 60 კ.; ტ. რცხილაძისა: 4 ცალი ქართული წიგნაკი, ღირებული 60 კ.; მღ. ი. შიუკოვისა: 10 ცალი დედანი ქართული წერისა იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, 2 ცალი რუსული წერის დედანი, 22 ნომერი „ჯეჯილისა“ 1896—97 წ., ოთხი ცალიც ქარტა ქართული ანბანისა, სულ ღირებული 5 მან.; მღ. ირ. ჩეკურიშვილისა. საკლასო დაფა ღირებული 3 მანეთად.

✦ ქ. ბ. ბ. ელ. მესხიშვილისაგან და ნ. ახსიევისაგან მივიღეთ და კუთვნილებისამებრ გადავეცით 12 მან. ერთ ღარიბ სტუდენტს და 8 მან. ერთ ტფილისელ ღარიბ ოჯახს.

✦ 3 ივნისს, პოლიციის მე-3 ნაწილში, მანთაშევის სახლიდან, ქ. შუშას მცხოვრებს სარქის ამირხანოვს, მოუპარავს რამდენიმე ნივთი 15 მან. ღირებულობისა. ამირხანოვი დააპატიმრეს.

✦ ამავე დღეს, საღამოს 10 საათზე, ისიდოროვის ქუჩაზე, ანანოვის სახლში მცხოვრებ მარაღოვის დაგეტილი ოთახი გაუტეხიათ ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ და წაუღიათ სხვა-და-სხვა ნივთები და 2 ოქროს საათი 60 მან. ღირებული.

✦ პოლიციის მე-7 ნაწილში, მახათის ქუჩის მოსახვევში, პოდპოლკოვნიკის გოტბორსკის სახლში მცხოვრებ ჰკუაზე შეშლილ ნიკოლოზ ფედორჩენკოს დაულევია კარბოლის სიმჟავე და თუმცა შემწეობის აღმოსაჩენად მიხეილის სამკურნალოში მალე გაუგზავნიათ, მაგრამ გზაშივე გადაცვლილა.

✦ პოლიციის 1-ლ ნაწილში 2 ივნისს, საღამოს ცხენის ბანაობის დროს მტკვარში ვლადიმერ გროზნოვი, 16 წლის ყმაწვილი, გადმოვარდნილა ცხენიდან და დამხრჩვალა წყალში. დამრჩვალის გვამი ჯერაც ვერ უნახავთ.

✦ პოლიციის მე-7 ნაწილში, 3 ივნისს, ყარსის რკინის გზის გადასასვლელზე სოფ. მუღანლოსაკენ მიმავალ მამედ ყულბათ-ოღლის თავს დაცემია ორი შეიარაღებული ბოროტ გამზრახველი, წაურთმევიათ შეკაზმული ცხენი, ფულად 18 მან. და გაქცეულან. ერთი ბოროტ მოქმედთაგანი რამაზან-ალი-ოღლი უკვე დააპატიმრა პოლიციამ. გამოძიება სწარმოებს.

✦ შუა ბაზარში, 3 ივნისს, ევდოკია ხოროლსკისას მიჰპარვია ბორჩალოს მაზრის მცხოვრები აკოფ დამელოვი, ამოუცლია ჯიბიდან 10 მან. და გაქცეულა. პოლიციელს მალე შეუტყვია ეს ამბავი, გამოჰკიდებია ქურდს და დაუჭერია. ქურდი პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

დაბა-სოფლები

სურამი. გაცოცხლდა და გამხიარულდა სურამი. უკვე გვეწვივნენ საავარაკოდ ტფილისის საიუნკრო სასწავლებელი, ფოთის პოლკი და მსროლელთა ოთხი ბატალიონი.

ორი წლის წინად გული შეგიწუხებდათ სურამის ნახვა: ძველის-ძველი ხის სახლები, ზოგი ხაძირკვლდ-დამპალი და გვერდზე მოქცეული, ზოგი სახურავ გადახდილი და კედლებ-შენგრეული, ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდა ქალაქებიდან საზაფხულოდ ჩამოსულ ხალხზე. ამისთანა სახლებში არ შეგეძლოთ თავი შეგეფარათ სიცხის დროს და წვიმის დროს ხომ ძალა-უნებურად უნდა გებანათ ტანი. ერთად-ერთი ქუჩა ოღრო-ჩოღრო სავსე იყო მტვერითა და სიბინძურით. დღეს კი, მართალი რომ ვსთქვათ, ძნელი საცნობია სურამი ასობით ახლად აგებული საზაფხულო სახლები ამშვენებენ დაბას; მათ შორის თქვენს ყურადღებას იქცევს ვაჭარ არუცოვის შენობა: ახლად გამართული და სუფთათ მოწყობილი სასტუმრო „იალტა“; დღემდე მარტო ერთი სასტუმრო იყო სურ მში „ბორჯომი“, რომელიც სამიკიტნოს უფრო წააგავს, ვიდრე სასტუმროს. შენდება ახალი საზაფხულო თეატრი, ვგონებთ ცირკსაც; ასე რომ წელს სურამს სიამოვნება და გასართობი ბევრი მოელის.

ცუდი სანახავია სურამის სამკითხველო, რომელსაც სამკითხველოს სრულებით არაფერი უგავს. ერთი პატარა ოთახი, ქუჩის პირად, მტვერითა და ობობას ქსელით სავსე; არც წიგნები, არც ჟურნალ-გაზეთები აქ არ არის; როგორც გავიგე, ჟურნალ-გაზეთებს იწერენ კიდეც, მაგრამ განა სამკითხველოსათვის ან სურამის საზოგადოებისათვის? სრულებითაც არა! გაზეთებს, მიიღება თუ არა ფოსტიდან, ჯერ ერთი სამკითხველოს წევრი წაიღებს შინ, მერე მეორე, მესამე, ბოლოს დაგლეჯილი და გაქონილი ნომრები გადაეცემა სამკითხველოს შკაფს. 15 მაისიდან სურამში ვარ და მხოლოდ ერთხელ ვღირსე „ცნობის ფურცლის“ ნახევარ ნომერს, მეორე ნახევარი ვიღაცას მოეხია (sic!). სამკითხველოში კედლებზე ჰკიდია სურათები შოთა რუსთაველისა, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, რაფიელ ერისთავისა, ნიკოლაძისა, დიმიტრი ყიფიანისა, ყაზბეგისა, მაგრამ ისე დამტვერული, რომ გული შეგიწუხდებათ მათი ნახვით; ალბად, ობობას მეტი პატრონი არა ჰყავს ამ სურათებს.

ჩემის ფიქრით, სურამის პატარა საზოგადოებას შეეძლია უფრო კარგად მოაწყოს სამკითხველო, მით უმეტეს, რომ დიდი ხანი არ არის, რაც გაზეთებში ვკითხულობთ, რომ ზაფხულობით ხშირად იმართება სურამში სადამოები და წარმოდგენები სამკითხველოს სასარგებლოდ და ფულიც საკმაოდ გროვდებაო. კარგი იქნება აგრეთვე, სამკითხველო ხანდა-ხან მაინც გვადირსებდეს ჟურნალ-გაზეთების ნომრებს; თორემ ამისთანა სამკითხველო ხომ მეც მქონდა; მე ვიწერდი „ცნობის ფურცელსა“ და „მოამბეს“, მეორე ჩემი ამხანაგი „კვალსა“ და „ივერია“-ს, ერთმანეთს გადავსცემდით ხოლმე წაკითხულ ნომრებს, სხვები კი ჩვენს გარდა არავინ სარგებლობდა ჩვენი გაზეთებით.

—

საჩხერე. 28 მაისს აქ მოვიდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ბ. სმაგინი; დაათვალიერა აქაური დაწესებულებანი და გაიცნო აქაური მოხელენი; აქაურს საზოგადოებას ბ. გუბერნატორი გაეცნო კნ. ელისაბედ წერეთლის სახლში, სადაც მის პატივსაცემლად სადილი გაიმართა. საჩხერიდან მეორე დღეს დილით ბ. სმაგინი ჭიათურას მივიდა; დაათვალიერა მადნები, სამრეწველო რაიონის გზები, სამკურნალო და სხვა; დაათვალიერა აგრეთვე ჭიათურის სამრევლო სკოლა და კიდეც გამოსცადა სხვა-და-სხვა საგნებში სამრევლო სკოლის მოწაფენი. სხვათა შორის, ბავშები ქართულშიაც გამოსცადა თარჯიმანის შემწეობით. გუბერნატორი ძალიან ნასიამოვნები დარჩა სკოლის მდგომარეობით და ბავშების ცოცხალის პასუხებით. საღამოს ბ. სმაგინი ქუთაისში დაბრუნდა.

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა მორიგი კრება 1902 წელს

31 მაისის სხდომა

კრება გაიხსნა 11 საათზე. თავმჯდომარემ ს. ნ. ლორთქიფანიძემ გაახსენა საზოგადოებას, ზედამხედველი კომიტეტის წევრის გ. ე. წერეთლისა ® დამფასებელი კომისიის წევრის ი. ლ. ბახტაძის გარდაცვალება და წინადადება მისცა ფეხზე წამოდგომით პატივი ეცათ მათი ხსოვნისთვის. წინადადება შესრულებულ იქმნა საზოგადოებისაგან.

I. ბანკის მოქმედების 1899—1901 წ. ანგარიშების განხილვა და დამტკიცება.

თ. დ. გ. წულუკიძე: სანამ ამ ანგარიშების განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროა გავიგოთ, რა უფლებებითაა აღჭურვილი მთავრობისაგან დანიშნული ახალი თავმჯდომარე და რამ გამოიწვია მისი დანიშვნა. მასთან საჭიროა გავეცნოთ მთავრობისაგან დანიშნულ რევიზიის ოქმებს.

გამგეობის თავმჯდომარე: ჩემი დანიშვნა, რასაკვირველია, მთავრობისაგან მოხდენილ რევიზიის შედეგია. რაც შეეხება ამ რევიზიის ოქმების პირს, მე ის მხოლოდ გუშინ მივიღე მთავრობისაგან; ამიტომ დღეს მისი გაცნობა შეუძლებელია ერთი მისთვის, რომ ძლიერ ბევრ დროს მოითხოვს და მეორეც—ჩვენს პროგრამაში არ შედის ეგ საგანი. მე ვთხოვ მთავრობას ნებართვას და მომავალ საზოგადო კრებაზე საზოგადოება გაეცნობა ამ ოქმებს. მხოლოდ ეს კი შემიძლია ვთქვა, რომ ბანკის საქმეები ისეთ სამწუხარო მდგომარეობაში არ აღმოჩენილა, როგორც საჩივარში სჩანდა.

თ. ი. აბაშიძე თხოულობს, ტელეგრამით ეთხოვოს მთავრობას ამ საგნის გაცნობის ნებართვა.

გამგეობის თავმჯდომარე: ახლა ამის თხოვნა შეუძლებელია, რადგან მარტო ამ საქმის გაცნობას მთელი კვირა მოუნდებით.

ა. თ. ნანეიშვილი. თხოულობს, წაკითხულ იქნეს ახალი თავმჯდომარის უფლებები.

გამგეობის თავმჯდომარე: რადგან მე აქ არა მაქვს მთავრობისაგან მონიჭებულ უფლებათა ვრცელი წერილი, ამიტომ მე მოგახსენებთ მის (რეზიუმეს) მოკლე შინაარსს: ა) ბანკზე დარჩენილ მამულების გაყიდვის ხუთი წლით გადადება; ბ) მამულებზე დარჩენილ გადასახადების ხუთი წლით შეჩერება; გ) ბანკის საქმეების გაუმჯობესებისათვის ღონის ძიებათა მიღება, დ) არა ჩვეულებრივი კრებების მოხდენა და სხ.

ს. თ. ხუნდაძე: მიკვირს რათ უშლიან გარეშე საზოგადოებას, რომ სხდომებს დაესწროს, იმ საზოგადოებას, რომელიც ხვალ ჩვენს ადგილს დაიჭერს ბანკის საქმეებში. ბანკს არა მარტო ნივთიერი მნიშვნელობა აქვს, არამედ აღმზრდელიც. თუმცა წესდების ერთ მუხლში ნათქვამია, გარეშე პირთ კრებაზე დასწრება არ შეუძლიათო, მაგრამ ყოველ კანონს აქვს თავისი კომენტარია. რა კანონის წინააღმდეგი იქნება, მაგალითად, რომ არა რწმუნებულნი ისხდენ ქანდარებზე და იქიდან ყური უგდონ ჩვენ სჯა-ბაასს, მიიღონ ჩვენგან გამოცდილება, მოიწონონ მოსაწონი და დაჰგმონ დასაგმობი. მარტო კორესპონდენტების ანგარიშები, რაც უნდა ვრცელი იყოს, ვერ გაგვაცნობს ჩვენ საქმის სინამდვილესთან. მასთან უსაჭიროესად მიმაჩნია, რომ კამათი იმ ენაზე იყოს, რომელიც უმეტესობას გაეგება. გუშინდელი მიზეზი, ვითომ ბანკის თავმჯდომარემ ქართული არ იცის, ვერაფერი თავის გასამართლებელი საბუთია: ერთ კაცს, მასთან ბანკის საქმეებთან ძლიერ დაახლოვებულს, უფრო ადვილად შეუძლია გაიგოს ქართულად ნალაპარაკევი, ვიდრე ბანკზე დაშორებულმა საზოგადოების უმეტესობამ რუსულად ნალაპარაკევი.

თ. კ. ბ. ლორთქიფანიძე ეთანხმება ბ. ხუნდაძის აზრს. კრების თავმჯდომარე თ. ს. ნ. ლორთქიფანიძე ამბობს: თუმცა წესდება გარეშე საზოგადოების კრებაზე დასწრების წინააღმდეგია, მაგრამ რუსეთის თავად-აზნაურთა ყოველ კრებას ესწრება გარეშე საზოგადოება, მხოლოდ სჯა-ბაასში კი არ ღებულობს მონაწილეობას. მე მგონია, სრულიად წესდების წინააღმდეგი არ იქნება, რომ აქაც ვიხელმძღვანელოთ ამგვარი მაგალითებით, მით უმეტეს, რომ ქანდარებზე მყოფი საზოგადოება ჩვენ სრულიად ხელს არ შეგვიშლის.

საზოგადოება ეთანხმება თავმჯდომარეს.

ბანკის თავმჯდომარე ბ. მელნიკოვი თავის აზრზე რჩება.

ხვალიდან გარეშე საზოგადოებაც დაესწრება სხდომებს ბილეთებით. თავმჯდომარე გადასცემს საზოგადოებას რწმუნებულის თ. დ. ი. ლეონიძის თხოვნას. თ. ლეონიძე თხოულობს, რადგან მე არ შემიძლია კრებებს დავესწრო, ჩემს მაგივრად კანდიდატი მიიღეთო.

თ. კ. ბ. ლორთქიფანიძე. ყოველ დაწესებულებებში ასეა და აქაც ამ წესით უნდა ვიხელმძღვანელოთ; კანდიდატი მხოლოდ მაშინ მიიღება, როდესაც რომელიმე არჩეული პირი, ხმოსანი იქნება ეს, რწმუნებული თუ სხვა, სრულიად თავს ანებებს თავის მოვალეობას. თორემ დღეს რომ მოვიდეს, ხვალ „არ მცალიან და ჩემს მაგივრად კანდიდატი მიიღეთო“ რომ შემოგვითვალოს, ეს რას ემსგავსება! ამას საზოგადოების პარტიებისათვის ექნება დიდი მნიშვნელობა კენჭების შოვნაში; მისი შედეგი კი იქნება, რომ რომელიმე პარტიის აგენტები ჩამოუვლიან რწმუნებულთ და სთხოვენ თავის მაგივრად კანდიდატი გაგზავნონ კრებაზე—რასაკვირველია, ისეთი, რომელიც მათს გამომგზავნს თეთრ კენჭს მისცემს.—მე დიდ პატივსა ვცემ თ. ლეონიძეს და სრულიად ეჭვი არა მაქვს, ვითომც მას რამე ცუდი განზრახვა ჰქონდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში მისი თხოვნა არაა შესაწყნარებელი.

საზოგადოება ტაშის ცემით ეთანხმება მას.

თ. ი. აბაშიძე თხოულობს კენჭი უყარონ ამ კითხვას.

ა. თ. ნანეიშვილს ჰსურს გამგეობის მოხსენებაზე იქონიოს მსჯელობა. თავმჯდომარე ნებას აძლევს.

ს. ბ. დოდობერიძე. მე მგონია, კითხვა კანდიდატის მიღების შესახებ არ გამორკვეულა; თ. აბაშიძემ ითხოვა კენჭი ვუყაროთ ამ კითხვას და რათ არ ასრულებთ მის კანონიერ თხოვნას. საზოგადოება კენჭის ყრის წინააღმდეგია.

ა. თ. ნანეიშვილი. უკანასკნელმა საზოგადო კრებამ დაავალა გამგეობას, რაც შეიძლებოდა მალე, ეშუამდგომლა მთავრობასთან 59 კონვერსიის შესახებ და რა მიზეზია, რომ ამდენ ხანს არ უზრუნვია ამაზე?

გამგეობის წევრი ნ. დ. ერისთავი. ბირჟის ეხლანდელი მდგომარეობის დროს, როდესაც გირავნობის ფურცლების ფასი (курс) ძლიერ დაეცა (99—89 მან.), ყოვლად მოუხერხებელი იყო კონვერსიაზე ზრუნვა.

ა. თ. ნანეიშვილი. პრინციპიალურად მაინც უნდა აღგეძრათ შუამდგომლობა ამის შესახებ, თუ გინდ ბირჟის მდგომარეობა კიდეც გამოცვლილიყოს. მაგრამ, სიმართლე მოგახსენოთ, მე ეჭვი მებადება, რომ ბირჟებზე ფასის დაცემა ყოფილიყოს ამის მიზეზი. ვსთქვათ, ეხლანდელი ბირჟის პირობები არაა ჩვენთვის სასარგებლო, მაგრამ როდესაც ბირჟის პირობები ჩვენთვის სასარგებლო იყო, მაშინ რატომ არ იზრუნეთ? ნუ-თუ მთელი ათი წლის განმავლობაში ერთხელ არ გამოიდარა ბირჟაზე, რომ გესარგებლებიათ ამ შემთხვევით? თუ არაფერი ხერხდებოდა, იმ შემთხვევაში უნდა არა ჩვეულებრივი კრება მოგეხდინათ და გეცნობებიათ საქმის მდგომარეობა და კრებას იქნება რამე ღონისძიება მოენახა.

თ. ნ. დ. ერისთავი: საიდან შეგვეძლო კრების მოწვევა, როდესაც ეს უმაღლესი მთავრობისაგან აკრძალული გვქონდა?

ა. თ. ნანეიშვილი. წინა წლებს რომ თავი დავანებოთ, უკანასკნელი საზოგადო კრება მოხდა 1899 წელს მაისში; მთავრობის განკარგულება კრებების შეწყვეტის შესახებ მივიღეთ ერთის წლის შემდეგ, 1900 წლის მაისში. ნუ თუ მთელი ერთი წლის განმავლობაში არ შეიძლებოდა კონვერსიაზე შუამდგომლობა, ან კრების მოხდენა? სესხის გაცემას მაინც რამ შეუშალა ხელი?

თ. ნ. დ ერისთავი. სამინისტრო გვიბრძანებდა, ნაკლებად გაგვეცა სესხი, რადგან ბირჟების ფასი ძლიერ დაცემული იყო, და ჩვენ მოგების მაგიერ უნდა წაგვეგო.

ა. თ. ნანეიშვილი. ეს ხომ წინათაც ბრძანეთ, მაგრამ ამნაირი ცალმხრივი ახსნა საზოგადოებას ვერ დააკმაყოფილებს: როდესაც დროცა და პირობებიც ხელს გაძლევდათ, თქვენ არაფერი გააკეთეთ და ეხლა თავს იმართლებთ, ჩვენ არაფერი დაგვიშავებიაო. საჭიროა ის მაინც ვიცოდეთ, იყვნენ თუ არა სესხის მსურველნი, ან რამდენი.

თ. ნ. დ. ერისთავი. ამის ცნობები აქ არა მაქვს.

ა. თ. ნანეიშვილი. გთხოვთ ხვალ მაინც მოგვცეთ ცნობა. თ. ერისთავი ჰპირდება.

თ. დ. გ. წულუკიძე. საკვირველია! რატომ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკს არ უშლიდნენ სესხის გაცემას და ქუთაისს კი! ტფილისის ბანკს 6 ნაწილიდან 5 ნაწილი უკვე გაუცია სესხად, ქუთაისისას კი მხოლოდ $^{1}/_{3}$ ნაწილი. ძლიერ ვწუხვარ, რომ გამგეობა ისეთ საბუთებს იხმარიებს თავისს გასამართლებლად, რომელთაც სრულიად მნიშვნელობა არა აქვს.

ბ. ქ. თაყაიშვილი. მართლაც რომ სამწუხაროა ეს მოვლენა. თუ რამ საბუთიანი მიზეზი იყო, რომელმაც გამოიწვია ბანკის მოქმედების დაქვეითება, უნდა დაგვისახელოთ, თორემ ნაჩვენები მიზეზები ვერაფერი საბუთიანია. თუ ახალს ვერ ვიშოვით, ის უფლებები მაინც დავიბრუნოთ, რაც წინეთ გვქონდა. ჩვენ ნება გვქონდა 500,000 მანეთი გაგვეცა, ჩვენ კი ესეც არ გაგვიცია. ტფილისის ბანკმა მარტო ერთს თვეში იანვარში 3 მილიონი მანეთი გასცა. რაც შეეხება თ. ერისთავისაგან მიზეზად მოყვანილ ეკონომიურ კრიზისს, ეს მე მგონი, წინააღმდეგ, კიდეც გააძლიერებდა სესხის მოთხოვნილებას. ამგვარად საზოგადოების თვალის ახვევა არ შეიძლება. თუ ჩვენმა ბანკმა ასე პროგრესიულად უკან-უკან იწია, მას მალე სრულიად დახურვა მოელის; წარსულ წელს მხოლოდ 187 ათასი მანეთი გაცემულა ბანკიდან; თუ ამ ჯამმა კიდევ მოიკლო, მაშინ არავითარ ჩვენ შუამდგომლობას არ შეიწყნარებს მთავრობა.

გამგეობის თავმჯდომარე, ბ. მელნიკოვი. პატივცემულ ბ. თაყაიშვილს ტყუილად ეშინია ბანკის დახურვის იმ მოსაზრებით, რომ გამგეობამ არ გასცა ის რაოდენობა, რის გაცემაც შეიძლებოდა.

თ. ნ. დ. ერისთავი. ნაჩვენებ მიზეზებს გარდა ისიც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ 99 წელს საზოგადო კრებისაგან დადგენილი შუამდგომლობანი გამგეობამ არ შეიწყნარა.

(გაგრძელება იქნება)

პრესსა

ციმბირის ჟურნალ „სიბირსკ. ნაბლიუდატ“-ში დაბეჭდილია პირველი ნაწილი დიდის შრომისა ალტაის მთიელ-ყირგიზთა შესახებ; თხზულება ეკუთვნის ცნობილს ავტორს ბ. სამოხვალოვს და წარმოადგენს საინტერესო საისტორიო მასალას ციმბირის უცნობ მკვიდრთა შესახებ. მე—17 და მე—18 საუკუნოებში ამ ყირგიზთა და პირველ რუს-მოსახლეთა შორის საშინელი განხეთქილება და ბრძოლა ყოფილა; საქმე ისე გამწვავებულა, რომ მე-XVIII საუკუნეში ყირგიზებს დაუტოვებიათ მამა-პაპეული ბინა და წასულან ჩინეთში; ალტაის მთებში დარჩენილა მხოლოდ ყირგიზთა ორი მოდგმა. რა მიზეზმა აიძულა ყირგიზები დაეტოვებინათ თავისი სახლ-კარი?

ციმბირის დაპყრობაო, ამბობს სამოხვალოვი, დაიწყო ავაზაკმა ერმაკმა და განაგრძეს ისეთმავე თავზე ხელაღებულმა ავაზაკებმა, როგორიც ერმაკი იყო. ეს ავაზაკები ცდილობდნენ მხოლოდ მალე გამდიდრებას და ამისათვის ყოველგვარ საშუალებას ხმარობდნენ. ველური ციმბირი ვერ იზიდავდა მშვიდობიან და მშრომელ ხალხს; მათ ისეთი შიში ჰქონდათ ციმბირისა, რომ, როდესაც გადასახლებისათვის იწვევდნენ, მარტო ციმბირის სახელის გაგონება თავ-ზარსა სცემდა მათ და ყველა გარბოდა. ხოლო რა ხალხი მიდიოდა ციმბირში, ეს იქიდანაც სჩანს, რომ პროფ. ბუცინსკის სიტყვით, გადასასახლებლად დანიშნული რუსები ციმბირისაკენ მგზავრობის დროს ცარცვითა და გლეჯით თავ-ზარსა სცემდნენ ხალხს, რომელსაც იმ დროს მეტად ცუდი დღე უთენდებოდა. აქედან შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა დღეს აყენებდა ეს უზნეო და გახრწნილი ბრბო ციმბირის მკვიდრთ, რომელნიც უმთავრესად წარმოადგენდნენ მშვიდობიანსა და უწყინარს ხალხს! მოხელენი შეუბრალებლად ტყავს აძრობდნენ მკვიდრთ. მთავრობა ამაოდ სცდილობდა ამ სენის მოსპობას.

ყირგიზები სრულიად არ იყვნენ წინააღმდეგნი დამორჩილებოდნენ რუსეთს, მაგრამ მოხელენი და რუსის მცხოვრებნიც ისე სასტიკად და უმართლოდ ექცეოდნენ მათ, რომ ყირგიზებმა ბრძოლა და შემდეგ გადასახლებაც არჩიეს. აი ერთი დამახასიათებელი ფაქტიც იმათ ურთიერთობისა: ყირგიზების მთავარმა თავისი ცოლი გაგზავნა ელჩად რუსის მთავრობასთან ტომსკში და სთხოვა მიეღოთ ქვეშევრდომებათ ყირგიზები; მაგრამ ელჩს არა-თუ პასუხი არ მისცეს, გააძვრეს ქათიბი და გაცარცვის შემდეგ გაისტუმრეს. ამ გარემოებამ დიდი არეულობა და ბრძოლა ატეხა ყირგიზებსა და რუსებს შორის.

ხელოსნების საყურადღებოდ

(წერილი რედაქციის მიმართ)

არ იქნა და არ გათავდა, არ მოწესრიგდა ხელოსნების საქმე! რამდენი წელიწადია, აქაურს სახელოსნო გამგეობაში უწესოებაა! რამდენი ხანია ხელოსნები ჩივიან და ემდურიან თავიანთვე ამორჩეულთ, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს! არჩევნები მოხდა და ჩვენც ისევ ისინი ავირჩიეთ, ვინც საქმე აგვიწეწდაგვიწეწა და ვისზედაც მუდამ ვჩიოდით.

როგორც იცით, ბ. გუბერნატორს არ დაუმტკიცებია სერობიანცის არჩევა; ასე რომ ამ დღეებში ხელმეორედ იქნება არჩევნები. ჩვენ ვურჩევთ ხელოსნებს—ვისარგებლოთ ამ შემთხვევით და ავირჩიოთ კეთილსინდისიერი, გამოცდილი და რიგიანი კაცი. ჩვენ მიუთითებთ ერთ ამგვარ კაცზე, რომელიც წინადაც იყო მოურავად და თავის მოვალეობას კარგად ასრულებდა. ეს გახლავთ—**ანდრია კაპანაძე.** ის არჩეულ იქმნა მოურავად 1877 წელს და თავის შრომითა და მუყაითობით მოაწესრიგა ხელოსანთა

გამგეობის საქმეები და ამჟრებ შორისაც მშვიდობიანობა და კეთილ განწყობილება ჩამოაგდო. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, ბევრ ხელოსანს ემახსოვრება ანდრია კაპანაძის სამსახურის დრო და ემახსოვრებათ აგრეთვე, რომ, სხვა დროსთან შედარებით მაშინ უკეთ მიდიოდა ჩვენი ხელოსნების საქმეც. შემდეგ 1882 და 1896 წ.წ. არჩეულ იქმნენ ბ.ბ. ნაუმენკო და სერობიანცი და სწორედ იმ წლებიდან იწყება საქმეების აწეწ-დაწეწაც!..

ეს წარსული დროს გახსენება ჩვენ გვაძლევს იმედს, რომ ბ. კაპანაძე გამოცდილი და გამოსადეგი კაცია და ამიტომ ვურჩევთ ხელოსნების ხმოსნებსა და უსტაბაშებს—დაფიქრდნენ და, თუ დამეთანხმებიან, რომ კაპანაძე კარგი მოურავი იყო, ახლაც ის აირჩიონ.

ერთი ხელოსანთაგანი

უცხოეთის წვრილი ამბები

ცხოვრება პრეტორიაში. (სამხრეთ აფრიკა). ერთს ინგლისურს ჟურნალში მოყვანილია საინტერესო ცნობები ტრანსვაალის სატახტო ქალაქში ცხოვრებაზე.

აი რას იუწყება ეს ჟურნალი:

„მაღაზიებში სანოვაგე სხვა და სხვანაირია, რომელიც მოაქვთ ავსტრალიიდან საყინულეებით. სურსათი მეტის მეტი ძვირია. ზოგიერთი საჭმელი, რომლითაც, უმთავრესად იკვებება ხალხი, ხშირად მნელი საშოვარია ხოლმე. ერთი კონა წვანილი, რომელიც ერთი-ორი კაპ. ღირს ყველგან, აქ ათ შაურად იყიდება. პრეტორიაში კვერცხი მიუწდომელ საჭმელად ითვლება. თორმეტი“ კვერცხი ღირს ორი მანეთი და ათი შაური. ქათამი ღირს რვა მანეთზე ცოტა ნაკლები, 18 შილინგი.

სახლის ქირაც ძალიან დიდია, და ეხლა მთხოვნელებიც ემატებიან. თვეში ათ თუმნად შეიძლება იშოვოთ სამი—ოთხი ოთახი, ხოლო უფრო რიგიანი სახლი შეიძლება იშოვოთ თხუთმეტ ან ოც თუმნად თვეში. ერთად ერთი პრეტორიაში, წყალია იაფი, რომელიც ძალიან წმინდა და მარგებელია.

თეთრკანიანი მოსამსახურეები ძალიან ცოტაა და თუ იშოვე კიდეც, ერთ ალაგს ვერ გააჩერებ. ერთ ინგლისელს მზარეული დედაკაცი დაუჭერია (თეთრკანიანი) თვეში 46 მანეთად და დაჰპირებია მეორე თვეში ამდენისავე მომატებას. ესეც უნდა დავსძინოთ, რომ ის ქალი პრეტორიაში მისულა, როგორც მკერვალი და ზოგიერთი საჭმელების გაკეთება სცოდნია.

ეს დედაკაცი ინგლისელს სამი კვირა ემსახურა და შემდეგ ყავახანაში დადგა, სადაც თვეში ათი თუმანი დაუნიშნეს.

რაც შეეხება შავკანიან მოსამსახურეებს, ისინიც ძალიან ძვირად დგებიან: დედაკაცებს აძლევენ თვეში 30 მანეთს და პატარა ბიჭებს 20 მანეთს. ეს მოსამსახურეები მარტო უბრალო, შავ საქმეს აკეთებენ.

ესეც უნდა იცოდეთ, რომ, თუ შავი მზარეული დედაკაცი გყავთ, ორი ბიჭიც უნდა იყოლიოთ იმის დასახმარებლად.

აქედან ცხადადა სჩანს, რა დაუჯდებოდათ ინგლისელებს პრეტორიაში ცხოვრება ომის დროს.

**

ველოსიპედით მოსიარულე და ძუ ლომი. ამ დღეებში ქალაქ ბერნში სამხეცოდან გაიქცა ძუ ლომი, რომელსაც რამდენიმე დღე დაეძებდენ ამ ქალაქის მიდამოებში. 30 მაისს ქალაქს კარგა მოშორებით დასეირნობდა ვინმე სირინგი ველოსიპედით, რომელსაც გზაში შეეჩეჩა ლომი. რა დაინახა ლომი, სირინგმა, რაღა თქმა უნდა, მოჰკურცხლა, რაც კი შეეძლო. დაედევნა გაალმასებული ლომი. მოაჩქარებს თავის ველოსიპედს კაცი, და ლომი თანდა-თან ეწევა. აი ეს—ეს არის წამოეწია საშინელი ნადირი, კაცს ღონე ღალატობს, დაიქანცა და თავი განწირულად მიაჩნია; ლომი სულ რამდენიმე ნაბიჯზეა, რომ თავის ბასრის კბილებით გაჰგლიჯოს საბრალო მსხვერპლი... ამ დროს გავარდა თოფი და ლომი დაეცა. მსროლელი აღმოჩნდა ლომის პატრონი, რომელიც თავის მოსამსახურეებით დასდევდა იმას რამდენიმე დღე.

რაც შეეხება სირინგს, ის დიდხანს გონზე ვერ მოვიდა გამოვლილი შიშის გამო.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 ივნისი

პეტერბურგი. ჰელსინგფორსიდან გვატყობინებენ, რომ სამხედრო ბეგრის მოსახდელად გამოცხადდა იმდენივე, რამდენიც წინეთ, ე. ი. 30 პროცენტი.

ბაქო. ბალახანაში ცეცხლი გაუჩნდა ნობელის შადრევანს, რომელიც დღეში 200 ფუთ ნავთს ისროდა.

ასხაბადი. გუშინ აქ გახსნეს სამკურნალო, სადაც მზის სინათლითა და სითბოთი წამლობენ.

ხარკოვი. გაიხსნა ტროიცკის ბაზრობა.

პარიზი. საბერძნეთის მთავარ ნიკოლოზის დანიშნის გამო საბერძნეთის ეკლესიაში ღვთის მსახურება იყო; დაესწრნენ რუსეთის საელჩოს პირები და სხვა წარმომადგენლები.

ტომსკი. ჩაჰყარეს საფუძველი კომერციულ სასწავლებლისა, რომლის მოწყობაში მონაწილეობას იღებენ კუნტერინების სავაჭრო სახლი და ქალაქი; ღირს სულ 200,000 მანეთი.

ლონდონი. დაიწყო მეფის გვირგვინის კურთხევის დღესასწაული, ალდერშოტის პარადში მონაწილეობას იღებდა 31.000 კაცი. მეფის წარმომადგენლად იყო უელსის პრინცი.

პეტერბურგი. 3 ივნისს ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე დედოფალი გამოეთხოვენ ალექსანდრიაში იმ ჯარის კაცებს, რომელნიც მოდიოდნენ, და დაათვალიერეს ისინი, ვინც მათ მაგიერ მოვიდნენ.—„ვესტნიკ ფინანსოვ“-ში დაბეჭდილია ის მასალები, რომელიც სამეურნეო მრეწველობის საგანგებო კომისიაში შემოვიდა.

4 ივნისი

ჰელსინგფორსი. ბორგის საზოგადოებიდან მეორეთ მოიწვიეს სამხედრო ბეგრისათვის; წინად მოვიდნენ 10, ახლა 70: ცხრამეტმა ამთიდეს კენჭი.

გროზნა. მიწისძვრა კიდევ იყო.

ლონდონი. მეფე უკეთ შეიქმნა: დღეს საღამოს 6 საათზე მიდა ვინდზორში.

პარიზი. მინისტრ-პრეზიდენტმა ქქვსს სამღვდელო პირს დ'უზერა ჯამაგირი იმისათვის, რომ მიიღეს მონაწილეობა საარჩევნო აგიტაციაში.

მოსკოვი. დღეს, ფინანსთა მინისტრის თანაშემწის კოვალევსკის თანადასწრებით, დაიწყო მოსკოვის სამეურნეო საზოგადოების ცალკე ბჭობა ხორცის და ფრინველეულობის ინგლისში გაზიდვის შესახებ.

ბულგარიის მთავარი იყო მაცხოვრის ტაძარში. ლოცვაში მოიხსენიეს მთავარი, მთავრის ძე და ბულგარიის ხალხი. მთავარი დღეს კიევში გაემგზავრა.

ვლადივოსტოკი. დღეს სასამართლოს დადგენილებით ჩამოახრჩეს ოთხი დამნაშავე—უაზადი.

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 24 მაისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,15
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	37,40
ლონდონზე ჩეკები	94,90
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	37,62½
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	96¾ გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	98¾ მყიდვ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა	—
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	475 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	362 „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	292 „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	88⅜ „
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	83¼ „
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	89⅝ „
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	182 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.) 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს 28 წ.).

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5 სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.)

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან —№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო— დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ელიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონის, ტიზენჰაუზენის და ეჯიბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოდლიევსკისა.

განცხადებანი

ვინც **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების** წევრთა წლიურ საზოგადო კრებას ამა წლის მაისის 19 და 25 დღეს დაესწრო და საქმეთა განხილვაში მონაწილეობა მიიღო, პატივის ცემით ვთხოვ რა აზრიც წარმოსთქვა, თუ ჰსურს უცვლელად იქმნეს მოქცეული ვრცელ პროტოკოლში, წერილობით წარმოადგინოს, მხოლოდ უოვლისავე საგნის შესახებ ცალკე მუხლ-მუხლად და არა უგვიანეს სამის კვირისა.

(1—1) საქმის მწარმოებელი **პ. მირიანაშვილი.**

ხელოსანთა მოურავის

არჩევნები. დაინიშნა 6 ივნისისათვის, დილის 10 საათზე, ტფილისის საბჭოს დარბაზში. (1—1)

ცინკოგრაფია

ტიფლ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

[illegible]

იღებენ ყოველ გვარ

საკერავს:

კაბებს, წამოსასხამებს, საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს, (მეტკებს).

ბარონის ქუჩა, № 12 (10—1)

ქ. ბათუმში

იყიდება გაზეთი **„ცნობის ფურცელი“**

სპ. ჰელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიოს ბაზარში, სასწორის პირდაპირ. (0—24)

მაღაზია

ნ. ა. საზაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა

ქ. ქუთაისში

გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ **ქუთაისის და ქუთაისის ახლო-მახლო სოფლების საზოგადოებას**, რომ ჩვენს მაღაზიაში გვაქვს მუდამ მრავალ-გვარი **ფარფორის და ფაიანსის საქონელი** სხვა-და-სხვა ხრუსტალის და შუშეულების ნაწარმოები, ვარშავისა და საზღვარ-გარეთელი ლამპები. საზღვარ-გარეთელი რკინეული საელემენტო ჭურჭლეულობა უმაღლესი ხარისხისა. სპილენძის ჭურჭლეულობა, სამოვრები და ყოველ-გვარი საოჯახო კუთვნილებანი. მელხიორის და ბრიჯაის ნაწარმოებნი. ვენის გალუნული ბამბუკის სახლის ავეჯეულება. ინგლისური და ვარშავის კრაოტები და მატრაცები. სხვა-და-სხვა კედლის და სატუალეტო სარკეები. კლიონკები და ლინოლეუმები პოლისთვის. რუსული და საზღვარ-გარეთელი გიტარები, სკრიპკები და სტრუნები ყოველ-გვარი. საეკკლესიო კუთვნილებანი.

ყველაფერი ისყიდება **ზომიერ ფასად და უვაჭროდ.** (45—33)

„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“

გამგეობა აცხადებს, რომ იგი ჰნიშნავს

ორს პრემიას

200 მან. და **100** მან.

ქართულ დრამატიულ ნაწარმოებთა დასაჯილდოვებლად.

პრემიის პირობები შემდეგია:

1) საპრემიოდ წარმოდგენილი პიესა უნდა იყოს ორიგინალი, დაუსტამბავი და სცენაზე დაუდგმელი.

2) პიესა უნდა შეიცავდეს სამს მოქმედებაზე არა ნაკლებს.

3) პიესა უნდა გამოიგზავნოს „ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ გამგეობის სახელზე რაიმე დევიზის ზედ-წარწერით; პიესასთან ერთად უნდა წარმოდგენილ იყოს დაბეჭდილი კონვერტი, სადაც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი.

შენიშნვა: კონვერტი გაიხსნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პიესა ცნობილი იქნება პრემიის ღირსად.

4) პიესის საპრემიოდ წარმოდგენის ვადა თავდება პირველს ოქტომბერს 1902 წ.

5) „დრამატიულ საზოგადოების გამგეობას“ ორის წლის განმავლობაში განსაკუთრებული უფლება აქვს პრემიით დაჯილდოვებულ პიესის წარმოდგენისა სცენაზე.

6) დაჯილდოვებულ პიესის ავტორს მიეცემა ჰონორარად თითოეულ წარმოდგენის მთელის შემოსავლის 5 პროცენტი.

7) შედეგი პიესების კონკურსისა გაზეთებში იქნება გამოცხადებული. (ნ. 0—5)

Дозволено цензурою Тифлисъ, 4 Іюня 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.